ბრძანება:**ბ24. 242309423**

თარიღი:**04/04/2023**

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს საბჭოს საქმიანობისა და ფორმირების წესების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 ივნისის Nბ24.24221732 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი” და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ საბჭოს მდივნის 2023 წლის 04 აპრილის N05-242309443 მომართვის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ საბჭოს საქმიანობისა და ფორმირების წესების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 ივნისის Nბ24.24221732 ბრძანებაში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფორმირების წესი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით, დანართი N2-ის შესაბამისად.

2. ბრძანების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N2

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფორმირების წესი

შესავალი - პროცესის ზოგადი იდეის აღწერა

სამოქალაქო ბიუჯეტი დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ჩართულობას მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის თანამონაწილეობითი ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების განაწილებაში მოსახლეობის ჩართულობის ზრდას.

სამოქალაქო ბიუჯეტი არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში. სამოქალაქო ბიუჯეტის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ, თუ რაში დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული ფულადი სახსრები საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს თავად დაგეგმონ და განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები, ასევე თვალყური ადევნონ მათ განვითარებას. შესაბამისად, სამოქალაქო ბიუჯეტი არის თვითმმართველობის განხორციელების და განვითარების ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობას.

1. ორგანიზაციული საკითხები–სამოქალაქო ბიუჯეტისთვის თანხის გამოყოფა, მუნიციპალიტეტის ზონებად დაყოფა და თანხის განაწილება, პროცესში ჩართული პირები (პროცესის კოორდინაციის სტრუქტურა).

1.1 პროცესის განსახორციელებლად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ტერიტორია იყოფა 5 ზონად:

პირველი ზონა

ეგრისის ადმინისტრაციული ერთეული;

მეორე ზონა

კოლხეთის ადმინისტრაციული ერთეული;

მესამე ზონა

მაცხოვრისკარის ადმინისტრაციული ერთეული;

მეოთხე ზონა

ოდიშის ადმინისტრაციული ერთეული;

მეხუთე ზონა

ენგურის ადმინისტრაციული ერთეული.

ზონების მიხედვით ქალაქ ზუგდიდის ქუჩების ჩამონათვალი წარმოდგენილია დანართი №1-ის სახით.

1.2 2023 წელს "სამოქალაქო ბიუჯეტის" პროცესის განხორციელებისთვის გამოყოფილი საერთო თანხა შეადგენს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს, თითოეული ზონისთვის 200 000 (ორასი ათასი) ლარს.

1.3 მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა კოორდინაციისა და ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად იქმნება „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“ და თითოეულ ზონაში საბჭოს გადაწყვეტილებით (აქტის ფორმა) დაინიშნება თითო კოორდინატორი.

1.3.1 „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“-ს შემადგენლობაში შედიან მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭოს ფორმირება განისაზღვრება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“-ს ამოცანაა პროცესისა და რეგულაციების მომზადებაში ჩართვა, ასევე დახმარების გაწევა სამოქალაქო ბიუჯეტის ეტაპების განხორციელებისას, განსაკუთრებით, მონაწილეობის მიღება საინფორმაციო კამპანიის წარმოებაში, პროექტების შემოწმებაში და ამოსარჩევი სიის შედგენაში, კენჭისყრის პროცესზე დაკვირვება, მთელი პროცესის მონიტორინგი.

1.3.2 ზონის კოორდინატორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილე პიროვნება;
- სრულწლოვანი;
- ფაქტიურად უნდა ცხოვრობდეს იმ ზონაში, რომლის კოორდინატორადაც აირჩევა.

ზონის კოორდინატორი შესაბამის ზონაში საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატთან, „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“-ს წევრებთან და მერის წარმომადგენელთან ერთად ახორციელებს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საქმიანობას. კერძოდ:

- მოსახლეობის ინფორმირება ყველა ეტაპზე;
- დახმარების გაწევა პროექტების წერაში და განაცხადის შევსებაში;
- პროექტების შერჩევის პროცედურის განხორციელების ტექნიკური მხარდაჭერა.

2. ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება

2.1 „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროცესში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ პირს. პროექტის ავტორი არ უნდა იყოს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“-ს წევრი ან კოორდინატორი.

2.2. მოქალაქის მიერ წარმოდგენილი პროექტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთს.

3. სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების წესი - ეტაპები და ვადები

I ეტაპი - საინფორმაციო კამპანია

საინფორმაციო კამპანია უნდა დაიწყოს პროცესის დაწყებამდე და გაგრძელდეს ყოველ მომდევნო ეტაპზე.

„სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროცესის განხორციელების საწყის ეტაპზე ზონის კოორდინატორი, შესაბამის ზონაში საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატთან, მერის წარმომადგენელთან და „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს საბჭოს წევრებთან ერთად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან, აწვდის ინფორმაციის „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროცესის არსის, მიზნებისა და შესაძლებლობების შესახებ.

II ეტაპი - პროექტების შემუშავება და წარდგენა

პროექტის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ პირს.

ამ ეტაპზე უპირველეს ყოვლისა იმართება პროექტების წერის მარათონი, რომლის ფარგლებშიც კოორდინატორები „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“-ს წევრებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დაინტერესებულ პირებს გაუწევენ დახმარებას პროექტის მომზადებაში, მისცემენ რეკომენდაციებს, უპასუხებენ მათ შეკითხვებს. დაინტერესებულ პირებს კონსულტაციების მიღება შეუძლიათ ასევე ტელეფონით: **+995 599 84 41 88.**

საბოლოოდ, პირი შევსებულ სააპლიკაციო ფორმას წერილობით ან ელექტრონული ფორმით (აგზავნის მერიის ელ. ფოსტაზე: zugdidismeria@gmail.com) წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში გამოცხადებულ პროექტში მონაწილეობის მიღების მიზნით.

წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

- მისი განხორციელება უნდა შედიოდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში;
- ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში თითო ზონისთვის გამოყოფილ თანხას;
- განკუთვნილი უნდა იყოს „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფორმირებისთვის გამოყოფილი რომელიმე ერთი ზონისთვის (ეგრისი, კოლხეთი, მაცხოვრისკარი, ოდიში, ენგური);
- უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების კეთილდღეობას;
- პროექტის განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში;
- წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით რეგულაციებით განსაზღვრული სახით (ელ. ფოსტის მისამართი: zugdidismeria@gmail.com), რომელსაც ხელს აწერს პროექტის ავტორი (არასრულწლოვნის შემთხვევაში მისი მეურვე) და ინიციატივის არანაკლებ 30 მხარდამჭერი;
- პროექტის განხორციელების ადგილი უნდა იყოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრება ან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამხანაგობის წევრებთან შეთანხმებული.

საპროექტო ინიციატივის ფორმა უნდა მოიცავდეს: ინფორმაციას მისი ავტორის შესახებ, პროექტის დასახელებას, განხორციელების ადგილის მისამართს და საკადასტრო კოდს, სავარაუდო განზომილებით რაოდენობას, პრობლემის გადაწყვეტას, ბენეფიციართა ვინაობასა და სავარაუდო რაოდენობას, მოკლე აღწერას, სავარაუდო ღირებულებით მაჩვენებლებს, პროექტის განხორციელების ვადას.

მოქალაქე შევსებულ ფორმას წერილობითი ან ელექტრონული სახით აგზავნის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: zugdidismeria@gmail.com ან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში, მისამართზე: 2100, ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90.

შემოსული საპროექტო ინიციატივების სია უნდა გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე და გავრცელდეს სხვა შესაძლო საინფორმაციო არხების მეშვეობით (სოციალური ქსელები, მასმედია).

III ეტაპი - პროექტების ვერიფიკაცია

სააპლიკაციო ფორმების მიღების შემდეგ, საბჭოსთვის წარდგენილი საკითხი რეგისტრირდება „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“-ს დღის წესრიგში, რომელსაც განიხილავს უახლოეს სხდომაზე;

„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“ მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილ ინიციატივებს განიხილავს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სამართლებრივი ასპექტები (უფლებამოსილია თუ არა მუნიციპალიტეტი განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი);
- ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება);
- ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ღირებულების შეფასება);
- პროექტის განხორციელების ვადები.

თუ საპროექტო ინიციატივა არ აკმაყოფილებს რომელიმე ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმს, საბჭო უფლებამოსილია გამოავლინოს ხარვეზები და კოორდინატორის მეშვეობით სთხოვოს ავტორს გამოასწოროს ისინი. გამოსწორების ვადა არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ავტორისთვის შენიშვნების გაცნობიდან 5 კალენდარულ დღეს. აღნიშნულ ვადაში მათი გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განაცხადი უარყოფილ იქნება შესაბამისი დასაბუთებით.

იმ შემთხვევში თუ ვერიფიცირებული პროექტების საერთო ღირებულება, რომლებიც უნდა განხორციელდეს კონკრეტულ ზონაში აჭარბებს „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში ზონისთვის გამოყოფილ თანხას, საბჭო აცხადებს არჩევნებს პრიორიტეტული პროექტის/ პროექტების ფარული კენჭისყრის წესით გამოსავლენად.

თუ ზონის მიხედვით წარმოდგენილი და ვერიფიცირებული პროექტების საერთო ღირებულება არ აჭარბებს გამოყოფილ 200 000 (ორასი ათასი) ლარს არჩევნები არ ტარდება და პროექტები ავტომატურად გადაეცემა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას, მათი მომავალი წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

ვერიფიკაციის შედეგები, გადაწყვეტილება საპროექტო ინიციატივის მომდევნო ეტაპზე გადასვლის ან უარყოფის შესახებ, სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით, ვერიფიკაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა უნდა იყოს გამოქვეყნებული ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გავრცელებული სხვა შესაძლო საინფორმაციო არხების მეშვეობით (სოციალური ქსელები, მედია), ასევე უნდა ეცნობოს ავტორებს.

IV ეტაპი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზონებში სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით ფარული კენჭისყრის პროცედურა

მოსახლეობის მიერ პროექტების შერჩევა ხორციელდება კენჭისყრის საფუძველზე, საპროექტო ინიციატივებზე ხმის მიცემის პროცედურა განხორციელდება ფარული კენჭისყრის საფუძველზე განსაზღვრულ დღეს ქალაქ ზუგდიდში - ხუთ ზონაში სპეციალურად გამოყოფილ დანიშნულების პუნქტებში, რომლებიც განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამის ზონაში მერის წარმომადგენელთან და კოორდინატორთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ. კენჭისყრა იმართება არჩევნების (კენჭისყრის) დღის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე.

ხუთივე ზონაში გაიხსნება ერთი ადგილი მაინც, სადაც მოსახლეობა შეძლებს აირჩიოს სასურველი პროექტი. კენჭისყრის ადგილები უნდა განთავსდეს ღია ცის ქვეშ ან შენობებში, შესაბამისი ზონის ცენტრში. კენჭისყრის ჩატარების ადგილი ცნობილი უნდა იყოს კოორდინატორისთვის და საინფორმაციო საშუალებების მიერ უნდა იყოს გავრცელებული კენჭისყრამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

ყველა მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 14 წლის ასაკს და არის 18 წლამდე, უფლება აქვს თითო ხმა მისცეს საპროექტო ინიციატივას. 14-დან 18 წლამდე პირი, ხმას აძლევს იმ ზონაში, სადაც რეგისტრირებულია მისი მშობელი (მეურვე). ასეთ შემთხვევაში 14-დან 18 წლამდე მოქალაქეები ხმის მისაცემად გამოცხადდებიან მშობელთან (მეურვესთან) ერთად, რომელსაც თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოქალაქეს ხმის მიცემის უფლება აქვს მხოლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის იმ ზონაში ინიცირებულ საპროექტო ინიციატივასთან დაკავშირებით, სადაც იგი არის რეგისტრირებული.

ხმის მიცემის საბოლოო შედეგები გამოვლინდება ქაღალდის ბიულეტენების მეშვეობით ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით. გამარჯვებულ საპროექტო ინიციატივებად ჩაითვლება ხმათა უმრავლესობის მქონე ინიციატივები, რომლებიც პრიორიტეტულად დალაგდება მიღებულ ხმათა კლებადობის მიხედვით სანამ მათი ღირებულებების გათვალისწინებით არ ამოიწურება ზონისთვის განკუთვნილი 200 000 (ორასი ათასი) ლარი. იმ შემთხვევაში თუ ამგვარი განაწილების შედეგად ზონებში დარჩა აუთვისებელი თანხები, ისინი დაჯამდება და მოხმარდება იმ პროექტს, რომელმაც მიიღო ყველაზე მეტი ხმა ქალაქის მასშტაბით და ღირებულებით ყველაზე მეტად ესადაგება ჯამურად დარჩენილ თანხას, მაგრამ მხოლოდ მისი ზონისთვის გამოყოფილი თანხით ვერ ხერხდება მისი განხორციელება.

ხმის მიცემის უფლებისგან იზღუდება „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“-ს წევრი.

ზონის მიხედვით რამდენიმე პროექტზე ხმათა თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში ღია კენჭისყრის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“, კენჭისყრაზე მოწვეულ უნდა იყვნენ შესაბამისი პროექტების ავტორები.

კონკრეტული პროექტისთვის ხმის მიცემამდე მოქალაქე უნდა გაეცნოს შესაბამის ზონაში შემოთავაზებული პროექტების მთელ სიას საბჭოს მიერ წინასწარ მომზადებულ საინფორმაციო დოკუმენტში. პროექტების საინფორმაციო დოკუმენტი უნდა მოიცავდეს თითოეული პროექტის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: პროექტის სათაური, მოკლე აღწერა, ბიუჯეტი, ავტორი/ავტორები, პროექტის ლოკალიზაცია, რა პრობლემის გადაჭრაზე არის მიმართული, განხორციელების ვადა, შესაძლებლობის შემთხვევაში ფოტო/ესკიზი. გაცნობის შემდეგ შესაბამის ზონაში მცხოვრები მოქალაქე ირჩევს პროექტს საარჩევნო ბიულეტენის ქაღალდის ფორმის გამოყენებით საარჩევნო უბნებში.

ზემოთ აღნიშნული პროცედურების განხორციელებას (ხმის მიცემისათვის განკუთვნილ პუნქტში მოქალაქეთა რეგისტრაციას, მათი ხმების დათვლას, გამარჯვებული პროექტის გამოვლენას) უზრუნველყოფს ზონებში არსებული საარჩევნო კომისია. საარჩევნო კომისიის მუშაობის ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება ოქმების სახით ყველა წევრის ხელმოწერით. ხმების დათვლის შედეგები და გამარჯვებული პროექტები გამოქვეყნებული იქნება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საარჩევნო პროცესის ჩატარებას უზრუნველყოფს „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო“-ს წევრთაგან შემდგარი კომისია. დამკვირვებლებად მოწვეული იქნებიან პროექტების ინიციატორთა წარმომადგენლები, არა უმეტეს 3 პირი ზონის თითო უბანზე.

V ეტაპი - ბიუჯეტში ასახვა

საბოლოოდ შერჩეული პროექტების სია გამოცხადდება ფარული კენჭისყრის დღიდან ორი კალენდარული დღის განმავლობაში. საბოლოოდ შერჩეული ყველა პროექტი აისახება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამაში /კოდი: 02 16/, გაიწერება პროგრამის მიზანი, შუალედური და საბოლოო შედეგები, შედეგების შეფასების ინდიკატორები.

VI ეტაპი - პროექტის განხორციელება, შეფასება და მონიტორინგი

ინფორმაცია შერჩეული პროექტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ განთავსდება საინფორმაციო სტენდზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, მუდმივად გაშუქდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გავრცელდება სხვა შესაძლო საინფორმაციო არხების მეშვეობით (სოციალური ქსელები, მასმედია). ინფორმაცია ასევე მიეწოდება შესაბამის ზონაში საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს, მერის წარმომადგენელს, კოორდინატორებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ინფორმირებას პროექტის მიმდინარეობისა და მისი შედეგების შესახებ.

მონიტორინგს მოქმედი კანონმდებლობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფორმირებისა და საბჭოს საქმიანობის წესების შესაბამისად განახორციელებს და საბოლოო შეფასებას წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო.

2023 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების სქემა

1. საპროექტო წინადადებების წარდგენისა და გამარჯვებული ან/და ვერიფიცირებული პროექტების გამოვლენის და მომდევნო წლის ბიუჯეტში ასახვის თარიღები განისაზღვრება საბჭოს მიერ და გამოქვეყნდება საბჭოს საქმიანობის წესისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფორმირების წესის შესაბამისად.
2. ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეული პროექტები განხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ მათი დებულებებით გაწერილი კომპეტენციის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში.

"მაცხოვრისკარის" ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრები

N	ქუჩები, შესახვევები, ჩიხები და მათი მონაკვეთები, რომლებიც შედიან ადმინისტრაციულ ერთეულში
1	ზუგდიდი შ.რუსთაველის ქუჩა ლუწი ნუმერაციით დასაწყისიდან მდ. ჩხოუშამდე
2	ზუგდიდი ზ.გამსახურდიას გამზირი შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე
3	ზუგდიდი ი.მეუნარგიას ქუჩა შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე
4	ზუგდიდი ლაზის ქუჩა შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე
5	ზუგდიდი ალ. ყაზბეგის ქუჩა შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე
6	ზუგდიდი მარცხენა სანაპიროს ქუჩა სპ. კედიას ქუჩის გადაკვეთიდან შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე
7	ზუგდიდი მ. კოსტავას ქუჩა დასაწყისიდან შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე, აგრეთვე მ. კოსტავას ჩიხი
8	ზუგდიდი დ. აღმაშენებლის ქუჩა – შესახვევითა და ჩიხით
9	ზუგდიდი კ.გამსახურდიას ქუჩა – შესახვევებით
10	ზუგდიდი თავისუფლების ქუჩა – შესახვევებითა და ჩიხით
11	ზუგდიდი შ.ქირიას ქუჩა
12	ზუგდიდი რ.თაბუკაშვილის ქუჩა – შესახვევითა და ჩიხებით
13	ზუგდიდი გამარჯვების ქუჩა
14	ზუგდიდი თბილისის ქუჩა – ჩიხით
15	ზუგდიდი სპ. კედიას ქუჩა – შესახვევითა და ჩიხებით
16	ზუგდიდი ვახტანგ VI ქუჩა
17	ზუგდიდი შ. კიტიას ქუჩა
18	ზუგდიდი მედეას ქუჩა
19	ზუგდიდი გრ. ორბელიანის ქუჩა
20	ზუგდიდი ლ. ჩიქავას ქუჩა – ჩიხით
21	ზუგდიდი ხეივნის ქუჩა
22	ზუგდიდი ა. ფირცხალავას ქუჩა
23	ზუგდიდი ლ.უკრაინკას ქუჩა
24	ზუგდიდი ჯორჯიაშვილის ქუჩა
25	ზუგდიდი მ.ჯავახიშვილის ქუჩა – შესახვევით
26	ზუგდიდი დ. ჭონქაძის ქუჩა
27	ზუგდიდი ნ. ბარათაშვილის ქუჩა
28	ზუგდიდი ბაშაურის ქუჩა
29	ზუგდიდი პეტრიაშვილის ქუჩა
30	ზუგდიდი ა. ჩეხოვის ქუჩა

31	ზუგდიდი მ.ლომონოსოვის ქუჩა – შესახვევით
32	ზუგდიდი ალ.გრიბოედოვის ქუჩა – შესახვევით
33	ზუგდიდი პ.ჩაიკოვსკის ქუჩა
34	ზუგდიდი ნ.დუმბაძის ქუჩა – ჩიხით
35	ზუგდიდი გორის ქუჩა
36	ზუგდიდი პ. უბერის ქუჩა
37	ზუგდიდი პ. ცუცქირიძის ქუჩა
38	ზუგდიდი ნ. აფაქიძის ქუჩა
39	ზუგდიდი 8 მარტის ქუჩა
40	ზუგდიდი მ.დოჩიას ქ.
41	ზუგდიდი გ. ჭყონდიდელის ქუჩა
42	ზუგდიდი პირველი მაისის ქუჩა
43	ზუგდიდი შ.დადიანის ქუჩა
44	ზუგდიდი ი. ქორთუას ქუჩა
45	ზუგდიდი ვ. სიჭინავას ქუჩა – შესახვევით
46	ზუგდიდი ი. გრიშაშვილის ქუჩა
47	ზუგდიდი ლომთათიძის ქუჩა – შესახვევით
48	ზუგდიდი ს. ჯანაშიას ქუჩა
49	ზუგდიდი ვარშავას ქუჩა
50	ზუგდიდი ივ.თოდუას ქუჩა
51	ზუგდიდი მ.ლერმონტოვის ქუჩა – შესახვევებით
52	ზუგდიდი კუბას ქუჩა
53	ზუგდიდი ნ. ოსტროვსკის ქუჩა
54	ზუგდიდი გ. ცაბაძის ქუჩა – შესახვევით
55	ზუგდიდი ჭ.ბენდელიანის ქუჩა – ჩიხით
56	ზუგდიდი კ.კეკელიძის ქუჩა – შესახვევით
57	ზუგდიდი აკ.ხორავას ქუჩა
58	ზუგდიდი ა.ჩიქობავას ქუჩა – შესახვევით
59	ზუგდიდი ა.როგავას ქუჩა
60	ზუგდიდი შ. არაგვისპირელის ქუჩა
61	ზუგდიდი ჭალადიდელის ქუჩა
62	ზუგდიდი ვაჟა-ფშაველას ქუჩა
63	ზუგდიდი გ.ჩიტაიას ქუჩა – ჩიხებით
64	ზუგდიდი ვ.ჭაბუკიანის ქუჩა
65	ზუგდიდი მცხეთის ქუჩა
66	ზუგდიდი შ. ჩილაჩავას ქუჩა
67	ზუგდიდი ვ.ესებუას ქუჩა
68	ზუგდიდი რ.ერისთავის ქუჩა
69	ზუგდიდი ვ. ბარნოვის ქუჩა
70	ზუგდიდი ივ. კრილოვის ქუჩა – შესახვევით
71	ზუგდიდი ბ. ბერანძის ქუჩა
72	ზუგდიდი შ.ხუბულავას ქუჩა დასაწყისიდან მდ. ჩხოუშამდე

73	ზუგდიდი წითელი ჯვრის ქუჩა
74	ზუგდიდი მ.ბარამიას ქუჩა
75	ზუგდიდი ნ.ჟორდანიას ქუჩა – ჩიხით
76	ზუგდიდი, კ. თათარიშვილის ქუჩა
77	ზუგდიდი ძ.ლოლუას ქუჩა – ჩიხებით
78	ზუგდიდი პ.ინგოროყვას ქუჩა – ჩიხით
79	ზუგდიდი შ.დარასელიას ქუჩა
80	ზუგდიდი შ.ბიგვავას ქუჩა – შესახვევით
81	ზუგდიდი გრ.ხანძთელის ქუჩა – ჩიხებით
82	ზუგდიდი პ.იაშვილის ქუჩა
83	ზუგდიდი ა. პირველწოდებულის ქუჩა

"ოდიშის" ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრები

N	ქუჩები, შესახვევები, ჩიხები და მათი მონაკვეთები, რომლებიც შედიან ადმინისტრაციულ ერთეულში
1	ზუგდიდი შ.რუსთაველის ქუჩა კენტი ნუმერაციით დასაწყისიდან მდ. ჩხოუშამდე
2	ზუგდიდი ზ.გამსახურდიას გამზირი დასაწყისიდან შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე
3	ზუგდიდი მ. კოსტავას ქუჩა შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთიდან მდ. ჩხოუშამდე
4	ზუგდიდი მარცხენა სანაპიროს ქუჩა შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე
5	ზუგდიდი ი.მეუნარგიას ქუჩა დასაწყისიდან შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე
6	ზუგდიდი ლაზის ქუჩა დასაწყისიდან შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე
7	ზუგდიდი ალ. ყაზბეგის ქუჩა დასაწყისიდან შ. რუსთაველის ქუჩის გადაკვეთამდე
8	ზუგდიდი ს. დადვანის ქუჩა
9	ზუგდიდი დ. კლდიაშვილის ქუჩა – ჩიხით
10	ზუგდიდი ნარმანიას ქუჩა
11	ზუგდიდი თეატრის ქუჩა
12	ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქუჩა – შესახვევით
13	ზუგდიდი წმინდა ნინოს ქუჩა – ჩიხით
14	ზუგდიდი ეგრისის ქუჩა – შესახვევებით
15	ზუგდიდი ი. ანთელავას ქუჩა
16	ზუგდიდი მ.ცისკარიშვილის ქუჩა
17	ზუგდიდი ე. ნინოშვილის ქუჩა
18	ზუგდიდი შ.გულუას ქუჩა
19	ზუგდიდი შ.მოსიას ქუჩა
20	ზუგდიდი, გ.ღურწკაიას ქუჩა – შესახვევით

21	ზუგდიდი ბ.სიჭინავას ქუჩა
22	ზუგდიდი მ. გორკის ქუჩა – შესახვევებით
23	ზუგდიდი ი.ზარქუას ქუჩა – შესახვევითა და ჩიხით
24	ზუგდიდი მაცხოვრისკარის ქუჩა
25	ზუგდიდი ბუდაპეშტის ქუჩა
26	ზუგდიდი ივ.ჯავახიშვილის ქუჩა – შესახვევებითა და ჩიხით
27	ზუგდიდი შ.სართანიას ქუჩა – შესახვევით
28	ზუგდიდი წულუკიძის ქუჩა
29	ზუგდიდი გ. ანთელავას ქუჩა
30	ზუგდიდი ლ. ბერიას ქუჩა
31	ზუგდიდი რ.ლაღიძის ქუჩა
32	ზუგდიდი ლ. ქობალიას ქუჩა
33	ზუგდიდი წმინდა გიორგის ქუჩა
34	ზუგდიდი ვნუკოვის ქუჩა
35	ზუგდიდი სოხუმის ქუჩა დასაწყისიდან მდ. ჩხოუშამდე
36	ზუგდიდი ოდიშის ქუჩა
37	ზუგდიდი გ. ლეონიძის ქუჩა
38	ზუგდიდი სამეგრელოს ქუჩა – შესახვევებითა და ჩიხით
39	ზუგდიდი აკ. ჭანტურიას ქუჩა
40	ზუგდიდი ზ. ფალიაშვილის ქუჩა
41	ზუგდიდი სარაჯიშვილის ქუჩა
42	ზუგდიდი პ. მელიქიშვილის ქუჩა
43	ზუგდიდი ცაიშვილის ქუჩა
44	ზუგდიდი ზაქარაიას ქუჩა – ჩიხით
45	ზუგდიდი ი.გოროზიას ქუჩა – შესახვევითა და ჩიხით
46	ზუგდიდი გ. ბრწყინვალეს ქუჩა – შესახვევითა და ჩიხით
47	ზუგდიდი კ.სამუშიას ქუჩა – ჩიხებით
48	ზუგდიდი პ.ყურწუას ქუჩა
49	ზუგდიდი კ.ჟვანიას ქუჩა – ჩიხებით
50	ზუგდიდი ბუქარესტის ქუჩა
51	ზუგდიდი ბაგრატიონის ქუჩა – შესახვევით
52	ზუგდიდი 25 დეკემბრის ქუჩა
53	ზუგდიდი კავკასიონის ქუჩა
54	ზუგდიდი ტექსელის ქუჩა
55	ზუგდიდი კრასნოდარის ქუჩა
56	ზუგდიდი აკ.წერეთლის ქუჩა – შესახვევებით
57	ზუგდიდი შ.აკობიას ქუჩა
58	ზუგდიდი გ.კარტოზიას ქუჩა
59	ზუგდიდი ბ.ქებურიას ქუჩა – ჩიხებით
60	ზუგდიდი ჩოდრიშვილის ქუჩა
61	ზუგდიდი კიკვიძის ქუჩა
62	ზუგდიდი გ. სააკაძის ქუჩა

63	ზუგდიდი ბათუმის ქუჩა
64	ზუგდიდი ჯ.წურწუმიას ქუჩა
65	ზუგდიდი შ.ჩიტაძის ქუჩა – შესახვევით
66	ზუგდიდი შევჩენკოს ქუჩა

"კოლხეთის" ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრები

N	ქუჩები, შესახვევები, ჩიხები და მათი მონაკვეთები, რომლებიც შედიან ადმინისტრაციულ ერთეულში
1	ზუგდიდი შ.რუსთაველის ქუჩა მდ. ჩხოუშიდან ბოლომდე, აგრეთვე შ. რუსთაველის ქუჩის შესახვევები და ჩიხები
2	ზუგდიდი გ. გულუას ქუჩა დასაწყისიდან დ. მეგრელის ქუჩის გადაკვეთამდე
3	ზუგდიდი დ. მეგრელის ქუჩა ლუწი ნუმერაციით, აგრეთვე დ. მეგრელის შესახვევი
4	ზუგდიდი ფერდინანდის ქუჩა
5	ზუგდიდი ლევან II დადიანის ქუჩა დასაწყისიდან დ. მეგრელის ქუჩის გადაკვეთამდე
6	ზუგდიდი, შ. მესხიას ქუჩა ლუწი ნუმერაციით სრულად, აგრეთვე კენტი ნუმერაციით ალ. ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე
7	ზუგდიდი ალ. ჭავჭავაძის ქუჩა ლუწი ნუმერაციით დასაწყისიდან ჟ. შარტავას ქუჩის გადაკვეთამდე
8	ზუგდიდი ჟ. შარტავას ქუჩა ლუწი ნუმერაციით ალ. ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთიდან მდ. კუჩხობონუმდე
9	ზუგდიდი სანქტ-პეტერბურგის ქუჩა
10	ზუგდიდი ფოთის ქუჩა
11	ზუგდიდი ბაქოს ქუჩა
12	ზუგდიდი ალ. პუშკინის ქუჩა დასაწყისიდან ჟ. შარტავას ქუჩის გადაკვეთამდე
13	ზუგდიდი ი. გოგებაშვილის ქუჩა
14	ზუგდიდი კ. ლესელიძის ქუჩა
15	ზუგდიდი ჩაჩიბაიას ქუჩა
16	ზუგდიდი ერეკლე II ქუჩა – შესახვევით
17	ზუგდიდი რუხაძის ქუჩა
18	ზუგდიდი ნ. გოგოლის ქუჩა
19	ზუგდიდი ქუთაისის ქუჩა
20	ზუგდიდი ფურცელაძის ქუჩა – შესახვევით
21	ზუგდიდი გაბაშვილის ქუჩა
22	ზუგდიდი მაია წყნეთელის I შესახვევი
23	ზუგდიდი ქუჯის ქუჩა – ჩიხით
24	ზუგდიდი გ.ჩიქოვანის ქუჩა
25	ზუგდიდი, კოლხიდას ქუჩა – შესახვევით
26	ზუგდიდი ზ.გამსახურდიას ქუჩა – შესახვევით

27	ზუგდიდი ჯ. რაფავას ქუჩა
28	ზუგდიდი საირმის ქუჩა
29	ზუგდიდი ერევანის ქუჩა – შესახვევით
30	ზუგდიდი ა.ხელაიას ქუჩა
31	ზუგდიდი წაღვერის ქუჩა
32	ზუგდიდი თამარ მეფის ქუჩა დასაწყისიდან მდ. კუჩხობონუმდე
33	ზუგდიდი, ლ. ტოლსტოის ქუჩა ლუწი ნუმერაციით, აგრეთვე ლ. ტოლსტოის ქუჩის შესახვევები
34	ზუგდიდი ბუკიას ქუჩა
35	ზუგდიდი ნ. ჯიჭონაიას ქუჩა
36	ზუგდიდი დგებუაძის ქუჩა
37	ზუგდიდი, სოსელიას ქუჩა
38	ზუგდიდი დ.თავდადებულის ქუჩა – შესახვევითა და ჩიხით
39	ზუგდიდი თეთრი გიორგის ქუჩა – შესახვევებითა და ჩიხით
40	ზუგდიდი კ.არსაკიძის ქუჩა
41	ზუგდიდი კონსტიტუციის ქუჩა
42	ზუგდიდი ტრეტიაკოვის ქუჩა
43	ზუგდიდი ს.გოროზიას ქუჩა – შესახვევით
44	ზუგდიდი ლვოვის ქუჩა
45	ზუგდიდი ნ. ლომოურის ქუჩა – შესახვევით
46	ზუგდიდი რიგას ქუჩა
47	ზუგდიდი ეგ. ფიფიას ქუჩა – შესახვევებით
48	ზუგდიდი ნ.შანავას ქუჩა
49	ზუგდიდი შ.ხუბულავას ქუჩა მდ. ჩხოუშიდან ბოლომდე

"ეგრისის" ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრები

N	ქუჩები, შესახვევები, ჩიხები და მათი მონაკვეთები, რომლებიც შედიან ადმინისტრაციულ ერთეულში
1	ზუგდიდი პ. კობახიძის ქუჩა კენტი ნუმერაციით სრულად, ხოლო ლუწი ნუმერაციითი დასაწყისიდან მდ. კუჩხობონუმდე, აგრეთვე პ. კობახიძის I შესახვევი სრულად
2	ზუგდიდი ჟ. შარტავას ქუჩა კენტი ნუმერაციით დასაწყისიდან მდ. კუჩხობონუმდე, აგრეთვე ლუწი ნუმერაციით დასაწყისიდან ალ. ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთამდე
3	ზუგდიდი ალ. პუშკინის ქუჩა ჟ. შარტავას ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე, აგრეთვე ალ. პუშკინის შესახვევი
4	ზუგდიდი ალ. ჭავჭავაძის ქუჩა კენტი ნუმერაციით სრულად, ხოლო ლუწი ნუმერაციით ჟ. შარტავას ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე

5	ზუგდიდი, შ. მესხიას ქუჩა კენტი ნუმერაციით დასაწყისიდან ალ. ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთამდე
6	ზუგდიდი ლევან II დადიანის ქუჩა დ. მეგრელის ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე, აგრეთვე ლევან II დადიანის შესახვევი
7	ზუგდიდი დ. მეგრელის ქუჩა კენტი ნუმერაციით
8	ზუგდიდი გ. გულუას ქუჩა დ. მეგრელის ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე
9	ზუგდიდი ი. ვეკუას ქუჩა დასაწყისიდან პ. კობახიძის ქუჩის გადაკვეთამდე, აგერეთვე ი. ვეკუას შესახვევი და ჩიხი
10	ზუგდიდი მ. კოსტავას ქუჩა მდ. ჩხოუშიდან ბოლომდე
11	ზუგდიდი სოხუმის ქუჩა მდ. ჩხოუშიდან ბოლომდე, აგრეთვე სოხუმის ქუჩის შესახვევები
12	ზუგდიდი ბესიკის ქუჩა
13	ზუგდიდი ნ. ნიკოლაძის ქუჩა – შესახვევებით
14	ზუგდიდი ე.ჩარგაზიას ქუჩა
15	ზუგდიდი დ. გურამიშვილის ქუჩა – ჩიხით
16	ზუგდიდი მარჯვენა სანაპიროს ქუჩა – ჩიხით
17	ზუგდიდი ბ.პაიჭაძის ქუჩა
18	ზუგდიდი გ. ჯიქიას ქუჩა
19	ზუგდიდი ზ.ბენდელიანის ქუჩა
20	ზუგდიდი ე. თაყაიშვილის ქუჩა
21	ზუგდიდი ალ. საჯაიას ქუჩა
22	ზუგდიდი ტ. ტაბიძის ქუჩა
23	ზუგდიდი ი. მოსაშვილის ქუჩა – შესახვევებით
24	ზუგდიდი ა. მირცხულავას ქუჩა
25	ზუგდიდი დ. ჯიქიას ქუჩა – შესახვევებითა და ჩიხით
26	ზუგდიდი ბორჯომის ქუჩა – შესახვევებით
27	ზუგდიდი ივ. მაჩაბელის ქუჩა
28	ზუგდიდი ბაკურიანის ქუჩა
29	ზუგდიდი მოსკოვის ქუჩა
30	ზუგდიდი ვ.დარასელის ქუჩა
31	ზუგდიდი ივ. ტურგენევის ქუჩა
32	ზუგდიდი სამგორის ქუჩა
33	ზუგდიდი ი. ჭავჭავაძის ქუჩა – შესახვევებით
34	ზუგდიდი ს. ჩიქოვანის ქუჩა – შესახვევით
35	ზუგდიდი, უნივერსიტეტის ქუჩა
36	ზუგდიდი ენგურის ქუჩა
37	ზუგდიდი მ. დემურიას ქუჩა
38	ზუგდიდი თ. ყუფუნიას ქუჩა
39	ზუგდიდი ვ.ფიფიას ქუჩა – შესახვევებით
40	ზუგდიდი მ. ხერგიანის ქუჩა – შესახვევებითა და ჩიხით
41	ზუგდიდი ტ. გრანელის ქუჩა – შესახვევებითა და ჩიხით
42	ზუგდიდი ე. მანჯგალაძის ქუჩა – შესახვევებით

"ი.ქ.კ.–ს" ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრები

N	ქუჩები, შესახვევები, ჩიხები და მათი მონაკვეთები, რომლებიც შედიან ადმინისტრაციულ ერთეულში
1	ზუგდიდი პ. კობახიძის ქუჩა ლუწი ნუმერაციით მდ. კუჩხობონუდან ბოლომდე, აგრეთვე პ. კობახიძის II შესახვევი სრულად
2	ზუგდიდი ი. ვეკუას ქუჩა პ. კობახიძის ქუჩის გადაკვეთიდან ბოლომდე
3	ზუგდიდი ჟ. შარტავას ქუჩა მდ. კუჩხობონუდან ბოლომდე, აგრეთვე ჟ. შარტავას შესახვევები და ჩიხი
4	ზუგდიდი მ. წყნეთელის ქუჩა, აგრეთვე მ. წყნეთელის II და III შესახვევი
5	ზუგდიდი თამარ მეფის ქუჩა მდ. კუჩხობონუდან ბოლომდე, აგრეთვე თამარ მეფის შესახვევი
6	ზუგდიდი, ლ. ტოლსტოის ქუჩა კენტი ნუმერაციით, აგრეთვე ლ. ტოლსტოის ქუჩის ჩიხები
7	ზუგდიდი 9 მაისის ქუჩა შესახვევითა და ჩიხით
8	ზუგდიდი მ. მესხის ქუჩა
9	ზუგდიდი ლ. ქიაჩელის ქუჩა
10	ზუგდიდი ა. ივერიელის ქუჩა – შესახვევებითა და ჩიხით
11	ზუგდიდი ვ.ლემონჯავას ქუჩა
12	ზუგდიდი დ. შენგელაიას ქუჩა – შესახვევებით
13	ზუგდიდი კ. სერგიას ქუჩა
14	ზუგდიდი ვოლგოგრადის ქუჩა
15	ზუგდიდი ვ. სხულუხიას ქუჩა – შესახვევებით
16	ზუგდიდი ვ.გორგასლის ქუჩა – შესახვევებით
17	ზუგდიდი ვ.ხორავას ქუჩა – შესახვევით
18	ზუგდიდი ლ.გუდიაშვილის ქუჩა – ჩიხებით
19	ზუგდიდი ლაშა გიორგის ქუჩა
20	ზუგდიდი ფაზისის ქუჩა
21	ზუგდიდი ნ. ფიროსმანის ქუჩა
22	ზუგდიდი ოდესის ქუჩა
23	ზუგდიდი კ. პერტაიას ქუჩა
24	ზუგდიდი შ. ნუცუბიძის ქუჩა
25	ზუგდიდი კიევის ქუჩა
26	ზუგდიდი მალინოვსკის ქუჩა
27	ზუგდიდი ი. ხვიჩიას ქუჩა
28	ზუგდიდი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა
29	ზუგდიდი გუბაზ მეფის ქუჩა
30	ზუგდიდი ბ. ჯანაშიას ქუჩა – შესახვევებით
31	ზუგდიდი მარია და ლეხ კაჩინსკების ქუჩა – ჩიხით
32	ზუგდიდი ნ. ვაჩნაძის ქუჩა

33	ზუგდიდი კ. სალიას ქუჩა – შესახვევით
34	ზუგდიდი ქობულეთის ქუჩა – შესახვევით
35	ზუგდიდი თ. სახოკიას ქუჩა – შესახვევებით
36	ზუგდიდი მექაღალდეთა ქუჩა – შესახვევით
37	ზუგდიდი ალ. სუვოროვის ქუჩა – შესახვევით
38	ზუგდიდი ა. კალანდაძის ქუჩა
39	ზუგდიდი ს. მეტრეველის ქუჩა – ჩიხით
40	ზუგდიდი სპეციალისტების ქუჩა – შესახვევებით
41	ზუგდიდი შენგელიას ქუჩა – შესახვევით
42	ზუგდიდი, კუტალიას ქუჩა